

გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მომჩივანი: შპს „თ...ი“ (ს/ნ ...)

შემმოწმებელი: საბაჟო დეპარტამენტი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულმა დავების განხილვის საბჭომ, დ. გაბლიშვილის (სხდომის თავმჯდომარე), მ. ადგიშვილის, მ. ბარათაშვილის, მ. ბოლოთაშვილის, დ. გახარიას, შ. გვენეტაძის, გ. თინიკაშვილის, შ. კომლაძის, დ. რუხაძის, გ. ფერაძის შემადგენლობით, 6.11.2019 წელს განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება შპს „თ...ი“-ის 4.11.2019 წელს რეგისტრირებულ საჩივარზე.

დავის საგანი:

საჩივრის განუხილველად დატოვება გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოცემულია იმავე პირის მიმართ იმავე დავის განმხილველი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად

გასაჩივრებული გადაწყვეტილება:

1. საბაჟო დეპარტამენტის 25.09.2019 წლის №002-346 საგადასახადო მოთხოვნა;
2. საბაჟო დეპარტამენტის 6.09.2019 წლის №30912 ბრძანება;
3. შემოსავლების სამსახურის 31.10.2019 წლის №37854 ბრძანება.

დარიცხული თანხა: 25128 ლარი;

ჯარიმა - 21132 ლარი (სსკ-ის 289-ე მუხლის მე-19);

ჯარიმა - 3997 ლარი (სსკ-ის 289-ე მუხლის მე-19¹).

ფაქტების აღწერა

საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფის“ გავლით საქართველოს ტერიტორიაზე შპს „თ...ი“-ს მიერ შემოტანილია 2019 წლის 27 მაისის №11112/C12489 (საბაჟო ღირებულებით 132537,19 ლარი) და 29 მაისის №11112/C12645 (საბაჟო ღირებულებით 61521,37 ლარი) იმპორტის სასაქონლო საბაჟო დეკლარაციებით წინასწარ დეკლარირებული 15038 კგ. სხვადასხვა დასახელების საქონელი.

სგპ „სარფის“ უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელდა სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის დამუშავება, რა დროსაც ASYCUDA-ს მონაცემთა ავტომატიზირებული სისტემის მიერ განისაზღვრა „ყვითელი დერეფანი“. აღნიშნულის გათვალისწინებით საქონელზე და სატრანსპორტო საშუალებაზე (სახ №33EKD91/33APP26) გამოწერილია აღრიცხვის მოწმობა D-56055/69601 და შემდგომი კონტროლის განხორციელების მიზნით საქონელი გაგზავნილია გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისის“ (1111) დანიშნულებით.

2019 წლის 1 ივნის შპს „თ...ი“-ის №110941/21-10-21 განცხადებით გაირკვა, რომ ზემოთხსენებული სატრანსპორტო საშუალება, ნაცვლად გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისისა“ გამოცხადდა შპს „თ...ი“-ს კუთვნილ საწყობში, სადაც საგადასახადო ორგანოს თანხმობის გარეშე განხორციელდა სატრანსპორტო საშუალებაზე არსებული იდენტიფიკაციის საშუალების მოხსნა, საქონლის გადმოტვირთვა და განკარგვა, გეზ „თბილისის“ უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელდა შპს „თ...ი“-ს კუთვნილი საწყობის დათვალიერება, რის შედეგადაც დეკლარირებული საქონლის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა და აღნიშნულზე შედგენილია დათვალიერების აქტი.

გამოვლენილ სამართალდარღვევათა ფაქტზე, 2019 წლის 4 ივნისს გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისის“ უფლებამოსილი პირის მიერ შედგა №EL092643 და №EL092642 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმები, რომელთა საფუძველზეც, გადამხდელს დაეკისრა პასუხისმგებლობა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-15 და მე-19 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის და სანქციის სახით შეეფარდა ჯარიმები 1000 ლარის და 61099 ლარის ოდენობით.

ამასთან, გაუქმდა №11112/C12645 და №11112/C12489 სასაქონლო საბაჟო დეკლარაციები და საგადასახადო კოდექსის 222-ე მუხლის შესაბამისად, 2019 წლის 4 ივნისს გამოიცა № EL11111/24 და EL11111/25 საგადასახადო მოთხოვნები, რომლითაც გადამხდელს გადასახდელად დაერიცხა 61297.13 ლარი (მათ შორის იმპორტის გადასახადი 22189 ლარი, დღგ 38910 ლარი და საურავი 198,13 ლარი).

აღნიშნული აქტები 7.06.2019 წელს გასაჩივრდა შემოსავლების სამსახურში, რომლის 27.06.2019 წლის №21301 ბრძანებით საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გადასახადის გადამხდელს მიეცა წინადადება ამ ბრძანების ჩაბარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში საბაჟო დეპარტამენტს წარუდგინოს უკანონოდ განკარგული საქონლის მიწოდების დამადასტურებელი პირველადი საგადასახადო დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო საბაჟო დეპარტამენტს, თავის მხრივ დაევალა მითითებულ ვადაში გადამხდელის მიერ დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში, შეისწავლოს, გაანალიზოს და სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში განახორციელოს 2019 წლის 4 ივნისის №EL092643 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმით დაკისრებული თანხის შესაბამისი კორექტირება (შემცირება) საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-19¹ მუხლის შესაბამისად, საჩივარი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულის შემდგომ გადამხდელის მიერ 2019 წლის 28 ივნისის №131513/21-11 განცხადებით საბაჟო დეპარტამენტში წარდგენილია პირველადი საგადასახადო დოკუმენტები (საქონლის რეალიზაციის დამადასტურებელი სასაქონლო ზედნადებები და მიღება-ჩაბარების აქტები), რომლებიც გამოწერილია №EL092643 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენის შემდგომ პერიოდში. წარდგენილი დოკუმენტების შესწავლის შემდგომ, დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, საბაჟო დეპარტამენტის 6.09.2019 წლის №30912 ბრძანებით შეტანილია ცვლილება

გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისის“ 2019 წლის 4 ივნისის №EL092643 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმში და ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-19 და 19¹ ნაწილებით. კერძოდ: №EL092643 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმით დაკისრებული ფულადი ჯარიმა, ნაცვლად 61099 ლარისა, განისაზღვრა: ა) 289-ე მუხლის მე-19 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის 21131,71 ლარის ოდენობით; ბ) 19¹ ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის 3996,73 ლარის ოდენობით.

აღნიშნულზე გამოიცა საბაჟო დეპარტამენტის 25.09.2019 წლის №002-346 საგადასახადო მოთხოვნა, რომელიც 27.09.2019 წელს გასაჩივრდა შემოსავლების სამსახურში და 31.10.2019 წლის №37854 ბრძანებით საჩივარი სსკ-ის 301-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად დარჩა განუხილველი.

შემოსავლების სამსახურის არგუმენტაცია

საქმის ირგვლივ არსებული მასალიდან დგინდება, რომ საბაჟო დეპარტამენტის 2019 წლის 4 ივნისის №EL092643 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმით კომპანიას დაკისრებული ჰქონდა პასუხისმგებლობა (ჯარიმა 61099 ლარი) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-19 ნაწილის შესაბამისად.

საბაჟო დეპარტამენტის 2019 წლის 4 ივნისის №EL092643 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმით შეფარდებული ჯარიმის კორექტირების შესახებ 2019 წლის 6 სექტემბრის №30912 ბრძანების შინაარსიდან ირკვევა, რომ შემოსავლების სამსახურის 2019 წლის 27 ივნისის №21301 ბრძანების აღსრულების მიზნით, კომპანიის მიერ 2019 წლის 28 ივნისის №131513/21-11 განცხადებით საბაჟო დეპარტამენტში წარდგენილ იქნა პირველადი საგადასახადო დოკუმენტები (საქონლის რეალიზაციის დამადასტურებელი სასაქონლო ზედნადებები და მიღება-ჩაბარების აქტები), რომლებიც გამოწერილია №EL092643 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენის შემდგომ პერიოდში.

გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისის“ 2019 წლის 12 აგვისტოს №96753-21-10-21 სამსახურებრივი ბარათის თანახმად, განცხადებით წარმოდგენილი საქონლის რეალიზაციის დამადასტურებელი პირველადი საგადასახადო დოკუმენტებით რეალიზებულია ზემოაღნიშნული სასაქონლო საბაჟო დეკლარაციებით დეკლარირებული საქონლის ნაწილი, კერძოდ: 140281.75 ლარის საბაჟო ღირებულების საქონელი (№C12489/11112 - წონით 6357.74 კგ და საბაჟო ღირებულებით 94 530.46 ლარი და №C12645/11112 - წონით 2 169.78 კგ და საბაჟო ღირებულებით 45 751.29 ლარი), ხოლო საქონლის ნაშთი შეადგენს 53 776.81 ლარის საბაჟო ღირებულების საქონელს.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით და შემოსავლების სამსახურის 2019 წლის 27 ივნისის №21301 ბრძანების აღსრულების მიზნით, საბაჟო დეპარტამენტის მიერ მიჩნეული იქნა, რომ ქმედება შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს მისი ჩადენის მომენტისათვის მოქმედი სსკ-ის 289-ე მუხლის მე-19 და მე-19¹ ნაწილებით. კერძოდ, 2019 წლის 27 მაისის №11112/C12489 და 29 მაისის №11112/C12645 სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით წინასწარ დეკლარირებული საქონლის იმ ნაწილზე, რომელზეც არ არსებობს უკანონოდ განკარგული საქონლის მიწოდების დამადასტურებელი პირველადი საგადასახადო დოკუმენტი, ქმედება დაკვალიფიცირდეს 289-ე მუხლის მე-19 ნაწილით და ჯარიმის ოდენობა განისაზღვროს კუთვნილი იმპორტის გადასახდელების თანხის (21 131,71 ლარი) 100 პროცენტის ოდენობით, ხოლო საქონლის იმ ნაწილზე, რომელზეც ასეთი დოკუმენტები წარმოდგენილია, ქმედება დაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის 19¹ ნაწილით და

ჯარიმის ოდენობა განისაზღვროს კუთვნილი იმპორტის გადასახდელების თანხის (3 996,73 ლარი) 10 პროცენტის ოდენობით.

შემოსავლების სამსახური უთითებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 301-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად დავის განმხილველი ორგანო საჩივარს არ განიხილავს, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოცემულია იმავე პირის მიმართ იმავე დავის განმხილველი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

საქმეზე წარმოდგენილი ინფორმაციის და არსებული მასალის ანალიზის შედეგად შემოსავლების სამსახურმა მიიჩნია, რომ საბაჟო დეპარტამენტის 2019 წლის 4 ივნისის №EL092643 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმით შეფარდებული ჯარიმის კორექტირების შესახებ 2019 წლის 6 სექტემბრის №30912 ბრძანების საფუძველზე გამოცემული 2019 წლის 25 სექტემბრის №002-346 საგადასახადო მოთხოვნაში ასახული შედეგები გამომდინარეობს შემოსავლების სამსახურის 2019 წლის 27 ივნისის №21301 ბრძანების აღსრულების მიზნით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოებიდან და სრულად შეესაბამება დავის განხილვისას მიღებულ გადაწყვეტილებას.

ამდენად, მომჩივნის მოთხოვნა უსაფუძვლოა და სახეზეა საჩივრის განუხილველად დატოვებისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 301-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტით დადგენილი სამართლებრივი საფუძველი.

მომჩივნის არგუმენტაცია

2019 წლის 31 ოქტომბერს მიიღო პასუხი, რომლიდანაც ირკვევა, რომ წარდგენილი პირველადი დოკუმენტაციის საფუძველზე, რეალიზაციად აღიარებულ იქნა მხოლოდ 4.06.2019-დან 30.07.2019-ის ჩათვლით რეალიზებული საქონელი, რაზეც განმარტავს, რომ აღნიშნული პერიოდის შემდეგ კიდევ მოხდა დარჩენილი საქონლის რეალიზაცია, რის დამადასტურებელ პირველად დოკუმენტაციასაც წარმოადგენს (30.07.2019-30.10.2019). შესაბამისად, ითხოვს ამ პერიოდში მიწოდებული, პირველად დოკუმენტებში ჩამოთვლილი, პროდუქტებიც ჩაითვალოს რეალიზებულად. ასევე ითხოვს, აღდგეს EUR1 სერტიფიკატები და მოეხსნას საბაჟო მოსაკრებელი. წარდგენილი სერთიფიკატები არის ორიგინალები და შეესაბამება ყველა ნორმას.

ხორცპროდუქტების ქარხნების მიერ მოწოდებული საქონლის იდენტიფიკაცია, ფიზიკურობა და დოკუმენტური შემოწმება უკვე მომხდარი იყო სარფის საბაჟოზე, რისი მომსახურების დოკუმენტაციაც გააჩნია. სარფის საბაჟოზე ვეტსამსახურის მიერ მოხდა საქონლის გადმოტვირთვა შემოწმების მიზნით, რაც ფიქსირდება მომსახურების საბუთით. ის გარემოება, რომ ტვირთი მოხვედრილი იყო ყვითელ დერეფანში, ნიშნავდა იმას, რომ თბილისის საბაჟოზე შემოსავლისას უნდა მომხდარიყო მხოლოდ საბუთების შემოწმება და გადახდის პირობების გადახედვა (ქარხნების საქონლის იდენტიფიცირება და ფიზიკურობის დადგენა უკვე მომხდარი იყო სარფის საბაჟოზე). აღნიშნული საქონლის დათვლა/დათვალიერება მოხდა საწყობში საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ. დათვალიერების აქტში აღნიშნულია, რომ საქონლის რაოდენობა ემთხვევა დეკლარირებულ რაოდენობებს. წარმოადგენს არახორცპროდუქტების მომწოდებელი ფირმა „Gunz“-ის მიერ მოწოდებულ ინვოისს, სადაც მითითებულია თითოეული პროდუქტის შენახვის ვადები, საბაჟო ტარიფის ნომრები და არტიკულის ნომრები, რისი მეშვეობითაც შეიძლება საქონლის პარტიის იდენტიფიცირება.

ითხოვს ცვლილების შეტანას შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საგადასახადო მოთხოვნებში, ასევე აღდგეს სერტიფიკატები და გაუქმდეს იმპორტის გადასახადი 6287 ლარი + 15902 ლარი.

დავების განხილვის საბჭო

მხარეთა არგუმენტაციისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ საბჭომ მიიჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საგადასახადო კოდექსის 301-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, დავის განმხილველი ორგანო საჩივარს არ განიხილავს, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოცემულია იმავე პირის მიმართ იმავე დავის განმხილველი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

საბაჟო დეპარტამენტის 2019 წლის 4 ივნისის №EL092643 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის თანახმად, გადამხდელის მიერ №11112/C12489 27/05/2019 და №11112/C12645 29/25/2019 სსდ-ით წინასწარ დეკლარირებულ სხვადასხვა საქონელზე, რომელიც შემოვიდა სგპ „სარფის“ გავლით, გამოიწერა აღრიცხვის მოწმობა D-56055 და დანიშნულების საგადასახადო ორგანოდ მიეთითა გეზ „თბილისი“, როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი ნაცვლად გაფორმების ეკონომიკური ზონისა სატრანსპორტო საშუალება გამოცხადდა კომპანიის კუთვნილ საწყობში და საგადასახადო ორგანოს თანხმობის გარეშე განხორციელდა საქონლის გადმოტვირთვა და განკარგვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გადამხდელი დაჯარიმდა სსკ-ის 289-ე მუხლის მე-19 ნაწილით გათვალისწინებული სანქციით 61099 ლარის ოდენობით.

შემოსავლების სამსახურის 27.06.2019 წლის №21301 ბრძანებით გადასახადის გადამხდელს მიეცა წინადადება ამ ბრძანების ჩაბარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში საბაჟო დეპარტამენტს წარუდგინოს უკანონოდ განკარგული საქონლის მიწოდების დამადასტურებელი პირველადი საგადასახადო დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო საბაჟო დეპარტამენტს, თავის მხრივ დაევალა მითითებულ ვადაში გადამხდელის მიერ დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში, შეისწავლოს, გაანალიზოს და სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში განახორციელოს 2019 წლის 4 ივნისის №EL092643 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმით დაკისრებული თანხის შესაბამისი კორექტირება (შემცირება) საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-19¹ მუხლის შესაბამისად, საჩივარი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საჩივრის თანახმად, რეალიზაციად აღიარებულია მხოლოდ 4.06.2019-დან 30.07.2019-ის ჩათვლით რეალიზებული საქონელი, აღნიშნული პერიოდის შემდეგ კიდევ მოხდა დარჩენილი საქონლის რეალიზაცია, რის დამადასტურებელ პირველად დოკუმენტაციასაც წარმოადგენს (30.07.2019-30.10.2019). ითხოვს ამ პერიოდში მიწოდებული, პირველად დოკუმენტებში ჩამოთვლილი, პროდუქტებიც ჩაითვალოს რეალიზებულად. ასევე ითხოვს, აღდგეს EUR1 სერტიფიკატები და მოეხსნას საბაჟო მოსაკრებელი, ვინაიდან წარდგენილი სერტიფიკატები არის ორიგინალები და შეესაბამება ყველა ნორმას.

საბაჟო დეპარტამენტის 6.09.2019 წლის №30912 ბრძანების თანახმად, გადამხდელმა 2019 წლის 28 ივნისს №131513/21-11 განცხადებით საბაჟო დეპარტამენტში წარადგინა პირველადი საგადასახადო დოკუმენტები (საქონლის რეალიზაციის დამადასტურებელი სასაქონლო ზედნადებები და მიღება-ჩაბარების აქტები), რომლებიც გამოწერილია №EL092643 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენის შემდგომ პერიოდში. გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისის“ 2019 წლის 12 აგვისტოს №96753-21-10-21

სამსახურებრივი ბარათის თანახმად, განცხადებით წარდგენილი საქონლის რეალიზაციის დამადასტურებელი პირველადი საგადასახადო დოკუმენტებით რეალიზებულია ზემოაღნიშნული სასაქონლო საბაჟო დეკლარაციებით დეკლარირებული საქონლის ნაწილი, კერძოდ: 140281.75 ლარის საბაჟო ღირებულების საქონელი (№C12489/11112 - წონით 6357.74 კგ. და საბაჟო ღირებულებით 94530.46 ლარი და №C12645/11112 - წონით 2169.78 კგ და საბაჟო ღირებულებით 45751.29 ლარი), ხოლო საქონლის ნაშთი შეადგენს 53776.81 ლარის საბაჟო ღირებულების საქონელს. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით და შემოსავლების სამსახურის 2019 წლის 27 ივნისის №21301 ბრძანების აღსრულების მიზნით, საბაჟო დეპარტამენტის მიერ მიჩნეული იქნა, რომ ქმედება შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს მისი ჩადენის მომენტისათვის მოქმედი სსკ-ის 289-ე მუხლის მე-19 და მე-19¹ ნაწილებით. კერძოდ, 2019 წლის 27 მაისის №11112/C12489 და 29 მაისის №11112/C12645 სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით წინასწარ დეკლარირებული საქონლის იმ ნაწილზე, რომელზეც არ არსებობს უკანონოდ განკარგული საქონლის მიწოდების დამადასტურებელი პირველადი საგადასახადო დოკუმენტი, ქმედება დაკვალიფიცირდა 289-ე მუხლის მე-19 ნაწილით და ჯარიმის ოდენობა განისაზღვრა კუთვნილი იმპორტის გადასახდელების თანხის (21131,71 ლარი) 100 პროცენტის ოდენობით, ხოლო საქონლის იმ ნაწილზე, რომელზეც ასეთი დოკუმენტები წარმოდგენილია, ქმედება დაკვალიფიცირდა ამავე მუხლის 19¹ ნაწილით და ჯარიმის ოდენობა განისაზღვრა კუთვნილი იმპორტის გადასახდელების თანხის (3996,73 ლარი) 10 პროცენტის ოდენობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შემოსავლების სამსახურის ბრძანების შესაბამისად სადავო საკითხის დამატებით შესწავლით დაკორექტირდა დარიცხული ჯარიმა, ამდენად საბაჟო დეპარტამენტის მიერ შემოსავლების სამსახურის 27.06.2019 წლის №21301 ბრძანება აღსრულებულია მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად და შემოსავლების სამსახურის მიერ საჩივრის სსკ-ის 301-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტით განუხილველად დატოვება მართებულია.

საბჭომ იხელმძღვანელა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 304-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 305-ე მუხლის მე-2 ნაწილით და გადაწყვიტა:

1. საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) ამ გადაწყვეტილების მომჩივნისთვის ჩაბარებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში.

დათო გაბლიშვილი
სხდომის თავმჯდომარე